ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2239929

ნომერი: AR1348750

თარიღი : 12.10.2015

გაცემის თარიღი : 19.10.2015

გაცნობის თარიღი : 19.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , ქუჩა სტურუა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მათიაშვილი პ/ნ 01024051879
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 71ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სავაჭრო ობიექტები
  - პავილიონი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

გადაწყვეტილება

თქვენი AR1348750 განაცხადის პასუხად, სადაც ითხოვთ #01.19.27.002.031 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას ტერიტორიაზე მსუბუქი კონსტრუქციის სავაჭრო პავილიონების დასაგეგმარებლად, გაცნობებთ შემდეგს: საპროექტო ტერიტორია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 6–ში (სზ–6). რომელშიც შერჩეული ფუნქციური სახეობის სამსენებლო განვითარებას ესაჭიროება სპეციალური ზონალური შეთანხმება. აღნიშნულთან გათვალისწინებით საკითხი უნდა განიხილოს „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“–ს სხდომამ. იმისთვის, რომ საბჭომ იმსჯელოს ტერიტორიის სამშენებლო განვითარების მიზანშეწონილობაზე, დამატებით უნდა წარმოადგინოთ საპროექტო შენობის ესკიზური ვარიანტი საპროექტო არეალზე არსებული ხე–ნარგავების სრული შენარჩუნების გათვალისწინებით. ასევე მიწის ნაკვეთის გენგეგმა საპროექტო და არსებული მოცულობების და სატრანსპორტო სქემის ჩვენებით.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 30 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტების წარმოსადგენად; დანიშნულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი. ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.